

## ვიქტორია იაშკინა

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# მულტილინგვალიზმი თუ კულტურული მრავალფეროვნება?

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის იმის ხაზგასმა, რომ ნებისმიერი ეროვნული კულტურის ინტეგრაციული ხასიათი, როგორც ეს მიღებულია დასავლურ სოციალურ ფსიქოლოგიაში, ამკარად კონცენტრირებულია ერის სულიერ მისწრაფებებზე და გავლენას ახდენს ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების ღრმა და მყარ ტიპზე, ისევე, როგორც ჯგუფის წევრების ქცევაზე. ღირებულებები, რომლებიც კულტურული მენტალობის საფუძველშია ჩადებული, გარკვეულწილად წარმოადგენს „მიზიდულობის ხაზს“ - ისინი გარდაქმნიან ეროვნული კულტურის ემპირიულ მრავალფეროვნებას ერთ სისტემურ მთლიანობად.

წარმოადგენს რა მსოფლმხედველობის და ფსიქოლოგიური ორიენტაციის ორგანულ სინთეზს, მენტალობა ასახავს საზოგადოების კულტურულ და სემანტიკურ სივრცეს. მისი ფორმირება სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთგავლენით ხორციელდება: ბუნებრივი, სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვ., რომლებიც ვითარდება ადამიანური გარემოს გავლენით, სოციალური პირობებით და კულტურული ტრადიციებით. ეროვნული და კულტურული მენტალობა, თავის მხრივ, წარმოშობს და ამრავლებს ყველა მის ძირითად წყაროს და მიზეზს, არსებულს ცხოვრების წესში, ტრადიციებში, ტექსტებში, ღირებულებებში, სემანტიკურ ლინგვისტურ ერთეულებში, ენაში, როგორც მთელში.

აღნიშნული ნაშრომის მეორე გზავნილი არის იმის აღნიშვნა, რომ ზემოთხსენებულთან კავშირში, ამკარა და ვრცელი ზრდა მულტილინგვალიზმისა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენისა და გლობალიზაციის კომპონენტისა, გასათვალისწინებელი ფაქტორია მისი პოზიტიური, თუმცა საკამათო გავლენების გამო.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული მენტალობა, კულტურული იდენტობა, მულტილინგვალიზმი, ბილინგვიზმი, გლობალიზაცია.

## შესავალი

კულტურული მენტალობა (ლათ. *mentalis* - გონებრივი, ლათ. *Cultura* - კულტივირება, განათლება) არის

კონცეფცია, რომელიც პიტერმ სოროკინმა შემოიღო იმისათვის, რათა აღენიშნა ნებისმიერი სოციალურ-კულტურული სისტემის მთავარი კომპონენტი, რადგან ის

არის მსოფლმხედველობა, რომელიც ქმნის ღირებულებათა იერარქიას და გასაზღვრავს ჭეშმარიტის კატეგორიას [5].

პ. სოროკინი განასხვავებს კულტურული მენტალობის ორ ურთიერთსაპირისპირო სახეობას:

1) გონებრივი მენტალობა (იდეოლოგიური) გულისხმობს, რომ სამყარო არის მარადიული, მისი სულიერი არსი არ არის ხელმისაწვდომი გრძნობიერი აღქმისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია სულიერი საჭიროებები, მაშინ, როდესაც ფიზიკური სურვილები შეიძლება აკრძალული ან შეზღუდული იქნეს; პროგრესი და თვითგანვითარება გულისხმობს ინსტიტუტების და მიდრეკილებების მართვის უნარის განვითარებას; ღირებულებები მუდმივია, უცვლელი და თვითმყოფადი; ჭეშმარიტების წვდომა მხოლოდ მისტიკური გამოცდილებით, ინტუიციით, რწმენით, გამოცხადებითა და ხელოვნებითაა შესაძლებელი. ისინი უნდა ასახავდნენ რელიგიურ ფენომენს და ემსახურებოდნენ ანალიზს; ფული და საკუთრება მხოლოდ მაღალი მიზნების მიღწევას გულისხმობს.

2) გრძნობიერი კულტურული მენტალობა - სამყარო ფიზიკურია და მისი არსი ადამიანის გონებისთვის მისაწვდომია. ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკური საჭიროებებია და ინდივიდმა უნდა იბრძოდეს მაქსიმალურის მიღწევისათვის; პროგრესი მიიღწევა გარემოს მეშვეობით; ღირებულებები ცვალებადი და რელატიურია; ჭეშმარიტება დგინდება ლოგიკურ აღმოჩენებზე დაფუძნებული ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების საშუალებით [5].

ამ ორი ტიპის მენტალობას შორის დგას კიდევ ერთი ტრანზიტული, ასე ვთქვათ, „საშუალო ტიპის“ კულტურული მენტალობა - იდეალისტური. კაცობრიობის ისტორია წარმოდგენილია, როგორც ჯაჭვი კულტურულ მენტალობათა ცვლილებისა გონებრივიდან მოყოლებული - იდეალისტურის გავლით - გრძნობიერამდე და პირუკუ: გრძნობიერიდან - იდეალისტურის გავლით - გონებრივამდე [5].

ამგვარი მრავალფეროვნების წყალობით, ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ პირისპირ დავინახოთ და ვიკვლიოთ გრძნობიერი კულტურული მენტალობა - ტექნიკური განვითარების, ურბანიზაციისა და გლობალიზაციის ეპოქა.

ერთი მხრივ, ნათელია, რომ გლობალიზაცია აჩქარებს „სოციალური და დინამიური კულტურის“ პროცესს (ა. მოლი). გლობალიზაცია ამკვიდრებს ისეთი კულტურული სტანდარტების არსებობას, რომელთა მიხედვითაც ადამიანი, რომელიც ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხვრობს, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ენაზე საუბრობს და იცის, თუ როგორ წარმართოს კომუნიკაციური პროცესი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ამა თუ იმ კულტურისთვის ქმნის პირობებს, რათა ისინი განთავისუფლდნენ გვაროვნული, ტომობრივი და ადგილობრივ-ტერიტორიული ჯგუფების „მარწუხებისგან“. შედეგად, ახალი ინფორმაციული თვალსაწიერი, უახლესი იდეები, სხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ დაგროვილი ცოდნა და უნარები - ფართოდ ვრცელდება სხვა კულტურულ სამყაროში,

რაც ხელს უწყობს განსხვავებული ეროვნებების ცნობიერებაში უფრო ზუსტი წარმოდგენის ფორმირებას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სხვა კულტურა ან რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ეროვნულ და ეთნიკურ კულტურასთან მიმართებით.

გლობალიზაცია აშკარად ზრდის „ინფორმაციის ნაკადის“ სიხშირეს. რისი წყალობითაც, განსხვავებულ კულტურას აქვთ შესაძლებლობა, გამოვიდეს საკუთარი ეთნიკური და ნაციონალური შეზღუდვებიდან. გლობალიზაციის ძირითადი პრინციპი განსხვავებული კულტურული სამყაროების თანაარსებობაა, რაც მულტი-კულტურალიზმის პრინციპია, რომელიც იმპერატიულ სახელმწიფო კულტურულ პოლიტიკად განიხილება; ის განხორციელდა ინფორმაციულ საზოგადოებაში და მიყვარათ დადებით გლობალურ შედეგებამდე.

მეორე მხრივ, არსებობს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება, რომლის დამცველებიც ამბობენ, რომ გლობალიზაციამ დრამატულად გაამძაფრა ეროვნული და კულტურული იდენტობის პრობლემა (ს. ბეჰაბიბი, ვ. კოუტირევი). ისინი ხაზს უსვამენ, რომ მულტი-კულტურალიზმი, როგორც ძირითადი პრინციპი ნებისმიერი კულტურისა, არ გულისხმობს დადებით ინტერქციას და განსაკუთრებით - მენტალობების კულტურულ დიალოგს. სხვა სიტყვებით: გლობალიზაციას მიყვარათ ფრაგმენტაციისა და ლოკალიზაციისაკენ [8].

იმისთვის რომ პრობლემა გადაიჭრას, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც, ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციის ერთ-ერთ

მთავარ პრინციპს - მულტიკულტურალიზმს, რომელიც მუდამ ცხარე დებატების ცენტრშია და საკუთარ არსენალში გააჩნია ცნებების ფართო სპექტრი...

## თეორია

თანამედროვე კვლევის ზოგადი შედეგებიდან გამომდინარე, *მულტილინგვალიზმი* არის სოციალურ-კულტურული ფენომენი, რომლის გავლენაც ვრცელდება მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედზე მეტზე - მათზე, ვინც სხვადასხვა დონეზე საუბრობს ორ ან მეტ ენაზე. ეს გამოთვლები ასევე წინ წამოსწევს ტერმინებს: *პოლილინგვიზმი* ან *მულტილინგვალიზმი*. ეს იმიტომ, რომ ქვეყნების დაახლოებით ერთი მეოთხედი ორ ოფიციალურ ენას აღიარებს საკუთარ ტერიტორიაზე, ქვეყნების მცირე ნაწილი კი - სამ ან მეტ ენას... ასე რომ, რეალური ციფრი ქვეყნებში თანაარსებული ენებისა გაცილებით დიდია [9].

მულტილინგვალიზმის, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენის, არსია ის, რომ რამდენიმე ენის თანადროული ფლობა არის გადამწყვეტი წინაპირობა წარმატებული არსებობისა და განსხვავებული საზოგადოებების კეთილდღეობისა თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაცია მოიცავს მატერიალური და სულიერი კომპონენტების ინტერპრეტაციას განსხვავებულ სოციალურ კულტურებში, როგორც მის ერთ-ერთ ელემენტს. მაშასადამე, უცხო ქვეყნების ენების ცოდნა აუცილებელია სხვათა გაგების პროცესში.

მულტილინგვალიზმის, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენის არსიდან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ ამ სამუშაოს მიზანს, როგორც პროცესს მულტილინგვალიზმის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრისა, რომელიც გლობალიზაციისა და კულტურული იდენტობის კომპონენტია. ეს გულისხმობს სოციალური კონტექსტის ძიებას, რომელიც წარმართველ როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოებაში მულტილინგვალიზმის ფორმირებასა და განვითარებაში.

ჩვენ ასევე ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ მულტილინგვალიზმის, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენის მიზეზები შემდეგი ობიექტური ფაქტორებიდანაა გამომდინარე:

- ინტერკულტურული ინტეგრაცია გლობალიზაციის ეპოქაში;
- ენების სოციალური პრესტიჟი;
- ენების გენეტიკური მსგავსება;
- სოციალური მობილობა.

დეფინიციებს რომ დავუბრუნდეთ: ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მულტილინგვალიზმი გულისხმობს რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ენის გამოყენებას კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში (განსაკუთრებით ერთ კონკრეტულ ქვეყანასა თუ შტატში); ინდივიდების (ან ჯგუფის) მიერ რამოდენიმე ენის გამოყენება, სადაც თითოეული მათგანი შერჩეულია კერძო კომუნიკაციური სიტუაციის მიხედვით [3].

ასე რომ, მულტილინგვალიზმი არ არის მხოლოდ უნარი ილაპარაკო რამოდენიმე ენაზე; ის ასევე არის

განსაკუთრებული ტიპი აზროვნებისა, რომელიც შეითვისებს რამოდენიმე ცივილიზაციის კულტურულ ღირებულებებს. ეს არის გზა საცხოვრებლისა, რომელიც ღიაა დიალოგისთვის.

### მეთოდი

კვლევის შედეგების მიღწევისთვის ჩვენ მივმართეთ შემდეგ სამეცნიერო მეთოდებს, რომელიც დაგვხმარა, უფრო ჩავღრმავებოდით არსებულ იდეებს და აღმოგვეჩინა ახალი გზები უკვე არსებული ფაქტების ინტერპრეტაციისთვის.

1) ლინგვისტური მეთოდი განიმარტება, როგორც კერძო სამეცნიერო და საკვლევო გზა გარკვეული წესების შესაქმნელად. ძირითადად ეს მეთოდი თანაბარია შედარებითი და ისტორიული მეთოდებისა, რომლებიც ენათა მსგავსების აღმოჩენის შედეგად გამოჩნდა. სპეციალური პროცედურების შედეგად გვეძლევა საშუალება, გავარჩიოთ მრავალფეროვანი მულტილინგვალური სამყაროს მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლები;

2) ლინგვისტური აბსტრაქციის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ენის ფენომენის მახასიათებლების შექმნის, კვლევისა და ანალიზისათვის, ადამიანთა შორის კავშირების და ენობრივი სამყაროს აღქმის გათვალისწინებით;

3) ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი, რომელიც შესწავლილი საგნის ბუნებისა და ემპირიული მასალის შეპირისპირებით, საშუალებას გვძლევს შევავროვოთ და გავაანალიზოთ განაზღვრული ენობრივი ფაქტები, როგორც ენობრივი აქტივობის პროდუქტი და ეს ამ

ნაშრომში გვეხმარება ვიკვლიოთ არაპირდაპირი ენობრივი მტკიცებულებები იმისთვის, რომ ავაგოთ მცირე სოციალურ-კულტურული სურათი;

4) მომიჯნავე მეცნიერებების მეთოდი, აღებული ისეთი მეცნიერებებიდან, როგორცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, კულტურის მეცნიერებები და ისტორია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ფენომენი თანამედროვე სოციალური ყოფის სვადასხვა სფეროების თვალთახედვიდან [11].

### დისკუსია და შედეგები

მულტილინგვალიზმის გამოვლენის განსაკუთრებული შემთხვევაა ბილინგვიზმი, რომელიც ორი ენის გამოყენების შედეგია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციებისას. ამერიკული სოციოლოგია განსაზღვრავს ბილინგვიზმს, როგორც „ორი ენის გამოყენებას ლეგიტიმაციის თანაბარი ძალით სამუშაო ადგილას ან საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ [1]. თუმცა, უფრო სრულ დეფინიციას გვთავაზობენ შვაიცერი და ნიკოლსკი, რომელთა მიხედვითაც, „ბილინგვიზმი არის ორი ენის თანაარსებობა ერთ ენობრივ ჯგუფში, სადაც ეს ენები გამოიყენება თანაბრად განსხვავებულ საკომუნიკაციო სფეროებში სოციალური სიტუაციის და კომუნიკაციური აქტის სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით. ორივე ენა ერთ ჯგუფს ემსახურება და ქმნის ერთ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას და

თანაარსებობს, როგორც ერთმანეთის დამატებითი ფუნქციური ნაწილი“ [4].

ორი ენა, როგორც წესი, ერთნაირად არ ყალიბდება ადამიანებში, რადგან არ არსებობს ენის გავლენისა და კულტურის გამოვლენის ორი, ზუსტად ერთნაირი, სოციალური სფერო. სწორედ ამის გამო ბილინგვალიზმის დეფინიციამი არ არის ორივე ენის უმაღლეს დონეზე ცოდნის მოთხოვნა. როდესაც ერთი ენა არ უშლის ხელს მეორეს, მაგრამ მეორე განვითარებულია მძლავრად - მშობლიური ენის ცოდნასთან მიახლოებით, მეცნიერები საუბრობენ დაბალანსებულ ბილინგვიზმზე. ამ შემთხვევაში ცოდნის მაღალ დონეზე მდგარ ენას ეწოდება დომინანტი და არ არის აუცილებელი, ეს ენა იყოს პირველად ათვისებული (მეტწილად - მშობლიური) ენა.

ენის თანაფარდობა შეიძლება შეიცვალოს შესაბამის მდომარეობაში მყოფი ნებისმიერი ენის წყალობით. მაგალითად, ერთ-ერთი ენის ფლობის დონე შეიძლება ნაწილობრივ დავარდეს ან უარყოფითად იმოქმედოს სხვა ენაზე (ჩარევა), მან შეიძლება განვითარება შეწყვიტოს ან ხმარებიდან ამოვარდეს (ენის შეცვლა), ენა შეიძლება დავიწყებულ ან დაძველებულ იქნეს (ენის სიკვდილი). შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს: ენა აღორძინდეს და გაძლიერდეს (შენახვა), იგი ცნონ და შევიდეს ოფიციალურ ხმარებაში [12].

მულტილინგვალიზმს რომ დავუბრუნდეთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ის არის 21-ე საუკუნის განუყოფელი ნაწილი, შეიძლება ითქვას - ფენომენიც კი. მულტილინგვალიზმი დამახასიათებელია

მსოფლიოს ყველა რეგიონისთვის განსხვავებული ფორმით და გზებით. ენაში გაწაფულობა, რომელიც საკომუნიკაციო და ინფორმაციის გაცვლა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. *Lingua franca* ან საერთაშორისო კომუნიკაციის ენას, უჭირავს საერთაშორისო ფუნქცია, რომელიც აერთიანებს სულიერად და მორალურად განსხვავებულ ხალხს განსხვავებული ქვეყნებიდან [6].

ასე რომ, მულტილინგვალიზმი ყოველთვის იყო და რჩება დღევანდელ დღემდე განსხვავებული კულტურების და ეთნოსებს თანაცხოვრებისთვის აუცილებელ ფენომენად, რომელიც ნამდვილად დადებითი, მაგრამ ზოგჯერ სადაო მახასიათებელია, რადგან ხანდახან ის იწვევს განსხვავებულ შეხედულებებს: დაწყებული ინსპირირებული მისაღმებებით - დამთავრებული სასტიკი წინააღმდეგობებით და მცდარი სტერეოტიპებით.

მოწინააღმდეგე მხარე ყურადღებას ამახვილებს, რომ მულტილინგვალიზმი ძირს უთხრის უნიკალური მონოლინგვური კულტურის არსებობას და ეს ფაქტი საგანგაშოა მისი არსებობისთვის. მხარდამჭრები კი ხაზს უსვამენ მულტილინგვალიზმის, როგორც წამყვანი ფენომენის, როლს ეთნოსის კულტურული თვალსაწიერის გაზრდაში სხვა კულტურებთან კომუნიკაციით, რადგან ის „აგროვებს“ ასიმილირებულ და პოტენციურად მისაღებ ადამიანურ ფასეულობებს.

ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საერთო თანამედროვე ფასეულობების სამყაროში, ხალხში, რომელიც ეძებს გზას „გლობალური ჰუმანიზმის“ მისაღწევად, რომელიც იძლევა საშუალებას, შეიქმნას ჰუმანისტური საზოგადოება ეროვნული ვარიაციებით, სულ მცირე, გულუბრყვილობაა, იგრძნო ზიზღი მულტილინგვალიზმის როლის მიმართ სოციალური ჰეტეროგენულობის ფორმირებაში და არ მიიჩნია ის დადებით ფაქტორად ინტერკულტურულ ინტერაქციაში.

მულტილინგვალიზმი, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი უპირისპირდება საგანმანათლებლო გამოწვევებს - მოამზადოს ახალგაზრდები მულტიკულტურულ და მულტინაციონალურ გარემოში ცხოვრებისთვის. ის მოუწოდებს რომ შეიქმნას შესაძლებლობები განსხვავებული ნაციონალობების, რასის და რელიგიის მქონე ადამიანების კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

საერთაშორისო კომუნიკაციური ინტეგრაცია, ისევე, როგორც პლანეტარული მსოფლმხედველობის განვითარება, თავის თავზე იღებს მხედველობაში ჰქონდეს ეროვნული ტრადიციები განათლებაში, იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები ეთნოსის კულტურული იდენტობის შექმნისთვის, ასევე პიროვნების განვითარებისთვის მრავალფეროვანი და კომპლექსური კულტურული გარემოს შექმნისთვის პიროვნების ფორმირებისათვის.

ასე რომ, თანამედროვე მულტილინგვური განათლების სოციალური ბუნება არა მხოლოდ ენობრივი, მაგრამ, ასევე, ზოგადი სოციალური კომპეტენციის შექმნის საფუძველშია, ისევე როგორც შინაარს-სობრივი ინტერპრეტაციის ავთენტურობა [14]. ის ჭრის ეთნიკური სტატუსის იერარქიის დანგრევის პრობლემას, მოაქვს კრიტიკული ინფორმაციის ამალგა მსოფლიოში კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარების გზით.

უფრო მეტიც, ის ქმნის ეროვნულობის საფუძვლიანად გონივრულ პოზიციას თავისი კულტურისა და ენის მეშვეობით. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი ეთნიკური ღირებულებების სოციალურ-კულტურულ გავრცელებას აქცევს უფრო მყარს, დაცულსა და მოსახერხებელს. ის ხელს უწყობს ეროვნული კულტურის შეგნებულ დაცვას მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა მხრიდან და ქმნის კონკრეტული საზოგადოების სოციალურ-კულტურულ გამოცდილებას.

### დასკვნა

თუ მხედველობაში მივიღებთ გლობალიზაციის კულტურულ ასპექტებს, ცხადი გახდება, რომ ინფორმაციული პროცესის ვრცელი ხასიათი ქმნის კულტურულ გაცვლას და კულტურათა დიალოგს გარდაუვალად. შედეგად ვიღებთ საერთო უნივერსალურ კულტურას, რომელიც ადამიანური ბუნების სპეციფიკური ისტორიული, სოციალური და კულტურული, რელიგიური და სხვადასხვა ადამიანურ და ეროვნულ გამოცდილებათა სინთეზს ახდენს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უდავოა, რომ კულტურული მემკვიდრეობის, ისევე, როგორც სხვათა კულტურის ელემენტების ადეკვატური აღქმა დიალოგის გზით არის მთავარი გზა ცივილიზაციის განვითარებისა და გლობალიზაციის ეპოქაში.

ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუ რამდენ ენაში შეუძლია ადამიანს, მიაღწიოს გაწაფულობას - ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ კაცობრიობის ისტორიაში, ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც მშობლიური ენის გარდა, ბევრ სხვა უცხო ენაზეც საუბრობდნენ. მრავალფეროვნების საფუძველში არსებობს კულტურული კომპლექსურობის აღიარება ორივე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე. გლობალიზაციის კონცეფცია და მულტილინგვალიზმი გულისხმობს, რომ მშობლიური ენა არ არის ის, რომელიც პირველადი გამოყენებისაა და ეთნიკურობასთანაა კავშირში, არამედ ის ენაა, რომელსაც პიროვნება უკეთ ფლობს და იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ასე რომ, მულტილინგვალიზმი, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი ხდება მსოფლიოს ყოველდღიური რეალობა. კერძოდ, გამოვლინდა რომ:

- მულტილინგვალიზმი არის ნამდვილი ლინგვოსოციალური ფაქტი, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობაში არსებობს და ზრდის ეკონომიკურ, მეცნიერულ, კულტურულ და პოლიტიკური ინტერესების ინტერაქციას;
- მულტილინგვალიზმი ნიშნავს სოციალიზაციას. ის ეხმარება

ემპათიის და ტოლერანტობის გრძნობის ჩამოყალიბებას სოციალურ-კომუნიკაციური პროცესების მეშვეობით, რომელიც სპეციფიკურადაა ორგანიზებული და ხელშეწყობილი განათლების მიმართ ბილიგვური მიდგომის შიგნით;

- თავისი სოციალური ბუნებით, მულტილინგვალიზმის ფენომენი არათუ კარგავს კულტურულ იდენტობებს, არამედ ეხმარება მას გაძლიერებაში. ის ზრდის ეროვნული კულტურის მიღწევებისადმი ღირებულ დამოკიდებულებას, კულტურული სიმდიდრისა და პერსონალური შესაძლებლობების გაზ-

რდით, ინტერკულტურულ დიალოგში;

- მულტილინგვური სოციალური იდენტობა არის აუცილებელი მდგომარეობა მულტიკულტურულ კონტექსტში, სოციალური კომპეტენციის ადეკვატური დონის მიღწევისათვის, რაც ეხმარება კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და სოციალური მობილობის გაძლიერებას არსებულ კულტურულ გარემოში. მულტილინგვური ადაპტაცია ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან საშუალებას გვაძლევს, გადავლახოთ კულტურული შოკი და მარგინალიზებული სოციალურ-კულტურული სტატუსი.



## გამოყენებული ლიტერატურა

- ვერეშაგინი - Психологическая и методическая характеристика двуязычия (билингвизма) [Текст] / Е.М. Верещагин. – М. : Изд-во МГУ, 2010. – 160 с.
- გოლოვახა - Тенденції соціальних змін в Україні та Європі: за результатами «Європейського соціального дослідження» (2005–2009) [Текст]/ Є. Головаха, А.Горбачік. – К. : Інститут соціології НАН України, 2010. – С. 114–115.
- ზოგრაფი - Многоязычие [Текст]/ Г.А. Головаха // Лингвистический Энциклопедический словарь. – М.: Советская энциклопедия, 1990. – 303 с.
- კუტირევი - Культура и технология: борьба миров [Текст] / В.А. Кутырев. – М., 2001. – 263 с.
- სოროკინი - Человек. Цивилизация. Общество [Текст] П.А. Сорокин. – М., 1992. – С.213-217.
- ტერ-მინასოვა - Язык и межкультурная коммуникация[Текст] / С.Г. Тер-Минасова. – М.: Слово, 2000.– 624 с.
- შვაიცერი, ბიკოლსკი - Введение в социоллингвистику [Текст] / А.Д. Швейцер, Л.Б. Никольский. – М.: Высшая школа, 2008. – 215 с.
- ბენჰაბიბი, სეილა, The Claims of Culture: Equality and Diversity in the Global Era / S. Benhabib// [Electronic resource] : Access : <http://press.princeton.edu> [14.09.13]
- ჰასკელბერგი - Bilingualism / M. Haskelberg// [Electronic resource] : Access : <http://www.log-center.ru/hints/dvuyazichie/bilingvizm> [21.08.13].
- კულსარიევა - Multilingualism as a condition for dialogue between cultures / А.Т. Kulsarieva // [Electronic resource] : Access : <http://kazakheli.kz/publications/> [09.08.13]
- ლინგვისტური კვლევის მეთოდები - Методы лингвистического исследования и описания языка, обусловленные функционально-стилистическим инвариантом [Электронный ресурс] - Режим доступа:<http://gerebilo.ucoz.ru> [09.08.13]
- ონლაინ-ენციკლოპედია - Online Encyclopedia Krugosvet. Bilingualism // [Electronic resource] : Access : <http://www.krugosvet.ru> [17.07.13]
- რადაევა - Секреты полиглотов/ К. Радаева // [Электронный ресурс]: Режим доступа: <http://www.sido.ru/library/publications>
- შირინი - Pedagogical aspects of bilingualism: the development of new scientific school / А.Г. Shirin / [Electronic resource] : Access : <http://edu.novgorod.ru>. [09.08.13]